



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ნომინალური თვის პროექტი

2025

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საგარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი	10
ფულადი ბაზარი	13
მონეტარული აგრეგატები	14

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ


ინფლაცია

ოქტომბერში წლიურმა ინფლაციამ 5.2%, ხოლო თვის ინფლაციამ 0.6% შეადგინა. წლიურ ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით დიდწილად სურსათის ფასები მოქმედებს. ოქტომბრის ინფლაციაში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების წვლილი 3.9 პპ (პროცენტული პუნქტი) იყო. გასულ წელს სურსათი ძირითადად დეფლაციური იყო და აქედან გამომდინარე, წელს, სურსათის ინფლაციის ზრდა ნაწილობრივ საბაზო ეფექტს უკავშირდება. ამავდროულად, საერთაშორისო ბაზრებზე სასურსათო ნედლეულზე ფასების მატება¹, ადგილობრივ ფაქტორებთან ერთად, სურსათის ინფლაციას დამატებით ზრდის.


სურსათის ფასებს, სეზონურობის და კლიმატური პირობების ცვალებადობის გამო, დიდი მერყეობა ახასიათებს. საქართველოს სამომხმარებლო კალათაში სურსათის წონა დიდია (31.7%) და შესაბამისად, სურსათის ფასების ცვლილების გავლენა ინფლაციაზე მნიშვნელოვანია.

საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მათალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომაცარებლების და სიგარეტის ფასებს გამოირიცხავს, მიმდინარე წელს სტაბილურია. ოქტომბერში საბაზო ინფლაციამ 2.4% შეადგინა. საბაზო ინფლაციაზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შედარებით გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობის შესაფასებლად.

თვის ინფლაცია 0.6% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წლიური ინფლაცია 5.2% (მნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ოქტომბერში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში ყველაზე გამოსარჩევი, პურის 4.5%-ით გაძვირებაა, რის გამოც თვის ინფლაცია 0.21 პპ-ით გაიზარდა. მეორე მხრივ, ვაშლის 18.2%-ით გაიფხვამ თვის ინფლაცია 0.13 პპ-ით შემცირდა.

წლიურ ჭრილში, როგორც აღინიშნა, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად სურსათის გაძვირება მოქმედებდა. სურსათი და უალკოჰოლო სასმელები გასული წლის ოქტომბერთან შედარებით 11.7%-ით გაძვირდა, ხოლო წვლილმა ინფლაციაში 3.9 პპ შეადგინა. აქედან პურის წვლილი 0.8 პპ-ია. შოკოლადის, ზეთის და ყველის გაძვირებაზე ჯამში დამატებით 1.0 პპ მოდიოდა. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფის 8.9%-იანი ინფლაცია, რამაც მთლიან ინფლაციაში 0.7 პპ-იანი წვლილი შეიტანა.


ინფლაციის შემცირების მიმართულებით ყველაზე მეტად ინტერნეტის გადასახადი მოქმედებდა³ (-0.13 პპ).

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ 6.2% შეადგინა. ადგილობრივი ინფლაციის ზრდას დიდწილად პურისა და ყველის ფასების ზრდა განაპირობებს. მომსახურების ინფლაცია, რომელიც ადგილობრივი ძირითადი შემადგენელი ნაწილია მიზნობრივზე დაბალ დონეზე ნარჩუნდება და ოქტომბერში 2.5%-ს გაუცოლდა.

¹ საერთაშორისო სურსათის ფასების მონაცემები <https://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/>

² ამ შემთხვევაში ინტერნეტის გაიფხვამ ხარისხის გაუმჯობესებას გულისხმობს.

შერეულად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია 8.2% იყო. აქ ყველაზე დიდი წვლილი ზეთს, კარცოფილსა და შოკოლადს აქვს. იმპორტირებული ინფლაცია ნულთან ახლოს არის, სადაც გამოსარჩევი კვლავაც ჯამურად სანავის უარყოფითი, 0.3 პპ-იანი, წვლილია.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2025 წლის წონები	ოქტ25/სექ25		ოქტ25/ოქტ24	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.6%	0.6%	5.2%	5.2%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	34.5%	0.3%	0.1%	11.7%	3.9%
სურსათი	31.7%	0.2%	0.1%	11.8%	3.7%
პური და პურპროდუქტები	6.9%	2.5%	0.2%	12.4%	0.9%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	0.5%	0.0%	4.9%	0.3%
თევზი	0.5%	2.9%	0.0%	16.9%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.1%	-0.6%	0.0%	8.1%	0.5%
ზეთი და ცხიმი	2.9%	-0.6%	0.0%	13.9%	0.4%
ხილი, ყურძენი	1.7%	-8.4%	-0.2%	21.0%	0.4%
ბოსტნეული, ბალახი, კარცოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	0.5%	0.0%	19.4%	0.5%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.9%	3.2%	0.1%	17.2%	0.5%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	-0.1%	0.0%	3.6%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	1.2%	0.0%	10.3%	0.3%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	1.2%	0.1%	5.6%	0.4%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.7%	8.2%	0.4%	-0.7%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.8%	-0.2%	0.0%	0.4%	0.0%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	0.3%	0.0%	-2.2%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.1%	0.1%	0.0%	8.9%	0.7%
ტრანსპორტი	10.9%	-0.1%	0.0%	-0.8%	-0.1%
კავშირგაბმულობა	3.2%	-0.1%	0.0%	-4.2%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.8%	-0.4%	0.0%	-2.1%	-0.1%
განათლება	5.4%	-0.4%	0.0%	2.1%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	0.0%	0.0%	7.3%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	4.7%	1.2%	0.1%	4.2%	0.2%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	60.8%	0.4%	0.2%	7.6%	4.5%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	8.1%	5.2%	0.4%	-1.2%	-0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	5.2%	0.0%	0.0%	-0.5%	0.0%
მომსახურება	25.9%	-0.3%	-0.1%	2.5%	0.6%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


სექტემბერში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად, 7.9 მლრდ ლარით, 13.7%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვითაც წლიურად 13.7%-ით გაიზარდა) და 65.6 მლრდ ლარი შეადგინა. თვის წრილში კი 2.6 მლრდ ლარით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 1.6 მლრდ ლარით (5.1%-ით) გაიზარდა და 33.3 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის ასახვაა. რაც შეეხება, უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, ამ შემთხვევაშიც, წინა თვესთან შედარებით 1.0 მლრდ ლარის (3.1%-ით) ზრდა დაფიქსირდა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სექტემბერში, მთლიანი დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით 0.5 პპ-ით შემცირდა და 5.3%-ს გაუფოლდა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე, საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 7.4% შეადგინა. უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით 1.6%-მდე შემცირდა. რეზიდენტების ლარისა და ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები უცვლელად შენარჩუნდა, შესაბამისად, 11.0%-სა და 1.3%-ზე. დოლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი 0.1 პპ-ით 2.8%-მდე გაიზარდა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის პარაშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეპოზიტების დოლარიზაცია სექტემბერში 0.6 პპ-ით შემცირდა და 49.2% შეადგინა. სექტემბრის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.5 პპ-ით, 63.9%-მდე, შემცირდა, ხოლო იურიდიული პირების დოლარიზაცია 0.8 პპ-ით გაიზარდა და 40.8%-ს შეადგენს. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით, 59.6%-მდე, შემცირდა.

**დემოზიფიკაციის დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამოყენებით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდებულებების დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამოყენებით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სექტემბერში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამოყენებით, სესხების ზრდის ტემპი 1.5 პპ-ით შემცირდა და წლიურმა ზრდის ტემპმა 13.3% შეადგინა. აღნიშნული, მეცნიერულად, ეროვნული ვალუტის დაკრედიცების ზრდის ტემპის კლებამ განაპირობა, თუმცა უცხოური ვალუტის საკრედიტო პორტფელის ზრდაც შენელებულია. კერძოდ, ეროვნული ვალუტით დაკრედიცების წლიური ზრდის ტემპი წინა თვის შესაბამის მონაცემთან შედარებით 1.7 პპ-ით შემცირდა და 17.1% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტის სესხების ზრდის ტემპი შენელებულია 1.2 პპ-ით 8.5%-მდე. მთლიანი სესხების ზრდაში კი 9.6 პპ-იანი წვლილი ღარის, ხოლო 3.7 პპ უცხოური ვალუტის დაკრედიცებამ შეიძინა. მიზნობრიობის ქრილში, დაკრედიცების ზრდის ტემპის კლება, დიდწილად, ბიზნეს სესხების კლებამ განაპირობა, რომლის წვლილიც მთლიანი სესხების ზრდაში 1.4 პპ-ით შემცირდა.

**სესხების წლიური ზრდის ტემპი
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამოყენებით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სესხები მიზნობრიობის მიხედვით
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამოყენებით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.3 პპ-ით გაიზარდა და 14.0% შეადგინა. უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 9.3%-ს გაუდოლდა, ხოლო ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 15.9%-მდე, გაიზარდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე
გაცემულ სესხებზე (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.6 პპ-ით გაიზარდა და 14.0%-მდე შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 12.8%-მდე, შემცირდა. საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 9.5%-მდე, შემცირდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 0.1 პპ-ით, 8.0%-მდე შემცირდა.


სექტემბერში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.3 პპ-ით შემცირდა და 42.4%-ის დონეზეა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.2 პპ-ით შემცირდა და, შესაბამისად, 63.9% და 23.2% შეადგინა. სექტემბერში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 24 მლნ ლარით შემცირდა და 577.5 მლნ ლარს გაუტოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 44.8% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (პურსის აფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბარეო სექტორი

სექტემბერში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 11.0%-ით გაუმჯობესდა და 737.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მოცემულ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 0.3%-ით შემცირდა 1.4 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო ექსპორტი 14.2%-ით გაიზარდა და 703.2 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. აქედან, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის კონტრიბუცია სექტემბერში უარყოფითი გახდა და -1.4 პპ შეადგინა.


იანვარ-სექტემბერში იმპორტი ერთჯერადი ფაქტორების³ გამორიცხვით, წლიურად 5.5%-ით გაიზარდა, ადგილობრივი მოხმარების იმპორტი კი - 4.8%-ით. იმავე პერიოდში, მთლიანი ექსპორტის ზრდამ 7.7%, ხოლო ადგილობრივი ექსპორტის ზრდამ 7.5% შეადგინა. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს (ერთჯერადი ფაქტორების გამორიცხვით), ამავე პერიოდში 4.1%-ით გაუარესდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი

სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (სემესტრული 2025)




წყარო: საქსტატი

იმპორტი - სექტემბერში საქონლის იმპორტი წლიურ ჭრილში 0.3%-ით შემცირდა. შემცირების მიმართულებით ძირითადად სამომხმარებლო საქონლის იმპორტი მოქმედებდა, -1.5 პპ კონტრიბუციით, ხოლო შუალედური მოხმარების საქონლის დადებითმა კონტრიბუციამ 1.3 პპ შეადგინა.

სამომხმარებლო საქონლიდან იმპორტის კლებაში წამყვანი წვლილი მსუბუქ ავტომობილებს ჰქონდა (-7.3 პპ), ხოლო ნავთობპროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების იმპორტზე დანახარჯები გაიზარდა. შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტის ზრდაში კი წამყვანი კონტრიბუცია საკვებ პროდუქტებს ჰქონდა. საინვესტიციო საქონლის იმპორტის კლებაში წამყვანი სატრანსპორტო საშუალებები იყო.


³ იანვარში შემოდანილი ხელოვნების ნიმუშების გამორიცხვით

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის იმპორტი (წილი მთლიან იმპორტში)



წყარო: საქსტატი

ქვეყნების ჯგუფის წილში, სექტემბრის იმპორტის წლიურ ცვლილებაში ევროკავშირის ქვეყნების წვლილი -0.7 პპ შეადგინა. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფში, სასაქონლო წილში კი კლებას ძირითადად მსუბუქი ავტომობილების იმპორტის შემცირება განაპირობებდა, რომელიც უმეტესად გერმანიიდან ხორციელდება. შედეგად, ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში წლიურად 22.5%-დან 16.2%-მდე შემცირდა. საპირისპიროდ, გაიზარდა ნავთობპროდუქტების იმპორტი.

ქვეყნებს შორის იმპორტი მეტწილად მცირდებოდა იაპონიიდან, გერმანიიდან და აშშ-დან (მსუბუქი ავტომობილები), ასევე რუსეთიდან. ხოლო ზრდის მიმართულებით ყველაზე დიდი წვლილი ჩინეთს ჰქონდა.

რუსეთიდან იმპორტზე დანახარჯები ყველაზე მეტად არმაჯურის ხარჯზე შემცირდა, ასევე შემცირებულია ნავთობპროდუქტების იმპორტი. ხოლო ხორბლის იმპორტი გაიზარდა.


აშშ-დან იმპორტის შემცირება ძირითადად მსუბუქ ავტომობილებს უკავშირდება.

საპირისპიროდ, გაზრდილია იმპორტი ჩინეთიდან სამრეწველო პროდუქციისა და მსუბუქი ავტომობილების იმპორტის ხარჯზე.

აღნიშნულ თვეში, ევროკავშირისა და 4 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 77.0% მოდიოდა.


აღსანიშნავია, რომ პროდუქტების წილში, სექტემბერში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქი ავტომობილების, ნავთობპროდუქტებისა და სამკერნალო საშუალებების იმპორტს ეკავა. მაღალი წილის მიუხედავად, მსუბუქ ავტომობილებს კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი ჰქონდა.

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (საშუალო 2025)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი


ექსპორტი - სექტემბერში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 14.2%-ით გაიზარდა და 703.2 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. ექსპორტის ზრდა განპირობებული იყო შუალედური მოხმარების საქონლისა (8.3 პპ წვლილით) და სამომხმარებლო საქონლის (6.1 პპ კონცრიბუციით) ექსპორტის ზრდით. თუმცა, შემცირებულია საინვესტიციო საქონლის ექსპორტი (-0.2 პპ კონცრიბუციით).

შუალედური მოხმარების საქონლის ჯგუფიდან გაზრდილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, ძვირფასი ლითონების მადნებისა და ფეროშენადნოების ექსპორტი. ასევე გაიზარდა სპილენძის მადნის ექსპორტი.

სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან ყველაზე დიდი პოზიტიური წვლილი თხილეულის ექსპორტმა შეიტანა. ასევე გაზრდილია ღვინის და სპირტიანი სასმელების ექსპორტი. საპირისპიროდ, შემცირებულია მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი (-1.4 პპ კონცრიბუცია).


საინვესტიციო საქონლის ექსპორტის კლება დაკავშირებულია სხვადასხვა სამრეწველო საქონლის რეექსპორტის კლებასთან.

საქონლის შესაქონლო კაპიტალიზაციის მიხედვით (საქმეზმეზმარი 2025, წილი შესაქონლო)



წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის შესაქონლო (საქმეზმეზმარი 2025)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

ქვეყნების ჯგუფის ქრისტი, სექტემბერში შესაქონლოს წლიურ ცვლილებაში, ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებული საექსპორტო შემოსავლების პოზიციურმა წვლილმა 9.6 პპ შეადგინა. ეს ძირითადად ბულგარეთში ძვირფასი ლითონების და სპილენძის მანქანების შესაქონლის ზრდას უკავშირდება. ასევე გაზრდილია თხილეულისა და ფეროშენადნობების შესაქონლი.

ამავე პერიოდში, ქვეყნებს შორის საექსპორტო შემოსავლები გაიზარდა ტექნიკურიდან და უზბეკეთიდან, რაც, ძირითადად, მსუბუქი ავტომობილების რექსპორტის ზრდით იყო გამოწვეული. ასევე გაზრდილია შესაქონლი არაბთა გაერთიანებულ საემიროებსა და რუსეთში. საპირისპიროდ, შესაქონლის შემცირება ყირგიზეთსა და ყაზახეთში მსუბუქი ავტომობილების რექსპორტის შემცირებით იყო განპირობებული. ასევე შემცირებულია შესაქონლი ჩინეთსა და საუდის არაბეთში.

რუსეთში გაზრდილი შესაქონლი ძირითადად ალკოჰოლურ სასმელებს უკავშირდება. ხოლო ლიმონათებისა და მინერალური წყლების შესაქონლი კლების მიმართულებით მოქმედებდა.

ჩინეთიდან მიღებული საექსპორტო შემოსავლების შემცირება ძირითადად ძვირფასი ლითონების მანქანების შესაქონლის კლებას უკავშირდება.


მიუხედავად წლიურად შემცირებისა, სექტემბრის საქონლის შესაქონლის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (39.2%-იანი წილი მთლიან შესაქონლში) ეჭირა. ძირითადი საექსპორტო პროდუქტებიდან, გაიზარდა ძვირფასი ლითონების მანქანების, თხილის, ფეროშენადნობებისა და ალკოჰოლური სასმელების შესაქონლიდან მიღებული შემოსავალი.

წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით შესაქონლი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ფულადი გზავნილები - სექტემბერში საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლიურად 12.1%-ით, 317.8 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა 12.7%-ით, 38.2 მლნ აშშ დოლარამდე. ზრდაში წამყვანი კონტრიბუცია ევროკავშირიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა (5.3 პპ) შეიძინა წლიური 11.7%-იანი ზრდით. 21.7%-ით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილები (კონტრიბუცია 3.8 პპ). რუსეთის დადებითი კონტრიბუცია კი სექტემბერში 1.3 პპ-ს გაუტოლდა.


სექტემბერში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (45.4%), აშშ (18.8%) და რუსეთი (12.4%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის (17.0%), გერმანიისა (9.4%) და საბერძნეთის (8.2%) მაღალი წილი.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (საქმეზმეზმარი 2025)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპალუტო ბაზარი


სექტემბერში წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7015-დან 2.7067-მდე (0.2%-ით), ხოლო ევროს მიმართ - 3.1367-დან 3.1740-მდე (1.2%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.7088 და 3.1739 შეადგინა. საანგარიშო პერიოდში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7405 იყო, მინიმალური კი - 2.6920.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა მინიმალურთან შედარებით მეტად იყო გადახრილი.


სექტემბერში, საშუალოდ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნადაა გაუფასურებული რუსული რუბლი. როგორც თვის, ისე წლის ქრილში შესამჩნევია თურქული ლირას გაუფასურება; წინა თვესთან შედარებით მცირედით გაუფასურდა ლარიც. მცირე გამყარებით ხასიათდებოდა სომხური დრამი, ხოლო შესამჩნევად გამყარდა - ევრო; აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების თვიური ცვლილება დოლართან მიმართებით (სექტემბერი 2025; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) წლიურად 3.1%-ით, თვის ქრილში კი 0.2%-ით გაუფასურდა. REER-ის გაუფასურებაში მნიშვნელოვანი წვლილი თურქეთის მაღალ ინფლაციას შეაქვს. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს (NEER), წლიურად 0.7%-ით გამყარდა, თვის ქრილში კი 0.2%-ით.

ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტულ ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით მოქმედებს.

სავაჭრო პარტნიორთაგან სექტემბერში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, ბელარუსსა და აზერბაიჯანში საქართველოსთან შედარებით მაღალი იყო, ხოლო სომხეთში, აშშ-სა და ევროზონაში - დაბალი.


ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალი ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვარი 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპატრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (სექტემბერი 2025)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


სექტემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 15 კომერციული ბანკი, 2 მიკრობანკი და 4^ა არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით, თვითრად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი შემცირებულია და დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტულობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპატრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა შემცირებულია როგორც თვის, ასევე წლის წრიულში. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 204.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 84.3 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, წინა წლის სექტემბერთან შედარებით კი - 96.6 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 23.6%-ით გაიზარდა, წლიურად კი 7.6%-ით შემცირდა.


საანგარიშო პერიოდში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ⁵ გარიგებებით ხდებოდა (98.3%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,458.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 148.9 მლნ აშშ დოლარითა, ხოლო თვის წრიულში 43.5 მლნ აშშ დოლარით არის გაზრდილი. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე, მცირე კი არაარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 2.9% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 100.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

⁴ რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
⁵ სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



საოტ გარიგებებით უცხოური ვალუდით ვაჭრობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე გაზრდილია როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება.

საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სექტემბერში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 104.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 40.6 მლნ აშშ დოლარით) და 1,781.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 44.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 2.9 მლნ აშშ დოლარით) და 1,677.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით ვალუტის შეძენაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებზე მოდიოდა, ხოლო გაყიდვაში - შინამეურნეობებზე.


სექტემბერში სავალუტო ფორვარდ⁶ გარიგებებით (უცხოური ვალუდით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუდით ვაჭრობა წლიურად 18.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრილში - 43.2 მლნ აშშ დოლარით) და 61.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე, ხოლო მცირე შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა გაყიდვამ 0.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორის საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტა და გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუდით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბრის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 224.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 5.4 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები, მონეტარული ოქროს გადაფასება და სავალუტო ინტერვენციების საშუალებით უცხოური ვალუტის წმინდა შეძენა, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.


⁶ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების მკვირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

სექტემბერში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 80 მლნ ლარი შეადგინა.


სექტემბერში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 230.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. სექტემბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 50, 60 და 80 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 123.8 მლნ ლარით გაიზარდა და 10,822.6 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 72.9%-ს კომერციული ბანკების, 11.7%-ს ეროვნული ბანკის, 14.2%-ს რეზიდენტების, ხოლო 1.2%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა. ასევე, გაიზარდა სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები, ხოლო სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთებზე, 5-წლიანის შემთხვევაში შემცირება, ხოლო 10-წლიანზე ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 7.6%-მდე, გაიზარდა. ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.2 და 0.1 პპ-ით გაიზარდა და შესაბამისად 7.4% და 7.4% შეადგინა. 3-წლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები უცვლელად 9.1%-ზე შენარჩუნდა. ხოლო 5 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები 0.2 პპ-ით, 9.4%-მდე, შემცირდა. თუმცა 0.1 პპ-ით გაიზარდა 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები და 9.8% შეადგინა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვითრად 4,512.3 მლნ ლარით (წლიურად 2,587.4 მლნ ლარით) 22,372.7 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეტწილად ეროვნული ვალუტის რესურსის ზრდით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (76.3%), რომლის მოცულობაც თვითრად 1,917.1 მლნ ლარით (12.7%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვითრად 2,595.3 მლნ ლარით (95.8%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვის ქრილში 7.7%-ზე შენარჩუნდა. ხოლო უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 2.2%-მდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ სექტემბერში ფულადი ბაზრის რესურსის 30.7% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 69.2% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მონეტარული აბრეგადები

სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 320.9 მლნ ლარით (4.0%-ით) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 8.4 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით კი, წინა თვესთან შედარებით, 14.4 მლნ ლარით (0.2%-ით) გაიზარდა.

სექტემბერში, სავალუტო აუქციონების გამოყენებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა თვის განმავლობაში 100.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 1.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ოპერაციების შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები 98.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.


სექტემბერში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 214.9 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის, 818.5 მლნ ლარს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში, ნაღდ ფულზე მოთხოვნა 16.0 მლნ ლარით შემცირდა. რეფინანსირების სესხების მოცულობამ, წინა თვესთან შედარებით, 140.0 მლნ ლარით მოიკლო. ერთდღიანი სესხის ნაშთი კი 80.1 მლნ ლარით შემცირდა. სექტემბერში დაიფარა და განთავსდა 20.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერთიფიკატები. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, სექტემბერში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 59.9 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 5,660.9 მლნ ლარს გაუცოლდა.


სექტემბერში, ფართო ფულის (M3) მოცულობა, თვითრად 1.6 მლრდ ლარით გაიზარდა. რაც შეეხება, ფართო ფულის M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 0.8 მლრდ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

